

წმინდა ნაკვალევზე


წმინდა ნინოს სახელობის ბოდბის დედათა მონასტერი

“..... რა შექმნა წმინდა ნინომ, მას არც არაფერი დაუწერია და არც არაფერი დაუხატავს, მაგრამ მან მთელ ქართველ ერს სახე უცვალა, სულითა და ხორციტ შეცვალა იგი”. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამ სიტყვებმა და წმინდა ნინოს მისამართით ხშირად წარმოთქმულმა ლოცვამ: “წმინდაო მოციქულთა სწორო დედაო ნინო, ევედრე ღმერთსა ჩვენთვის”, სართიჭალის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის მრევლს აღგვიძრა სურვილი, რომ მოგველოცა წმინდა ნინოს საფლავი ბოდბეს მონასტერში.



2006 წლის 29 ივლისს ღამის 12 საათზე თორმეტმა მართლმადიდებელმა გეზი ავიღეთ ბოდბისაკენ. ჯგუფში შედიოდნენ: დავით სიბოშვილი, ილია და ჯაბა ტაბატაძეები, ზურაბ ჩოქური, გიორგი ნოზაძე, შალვა შუბითიძე, ტელმან გველესიანი, ვახტანგ ბუჯიაშვილი, ლაშა მეხაშიშვილი, ზაზა ჩადუნელი, ერთადერთი ახალგაზრდა ქალბატონი თამარ ლომიძე და თქვენი მონა-მორჩილი. გზაში შემოგვიერთდნენ თამაზ გენგაშვილი და ივანე ციცქიშვილი.

დილის 8 საათზე ბადიაურში შევისვენეთ. გავლილი გვქონდა 40 კილომეტრი ანუ გასასვლელი მანძილის თითქმის ნახევარი. ვისაუზმეთ და გზა გავნაგრძეთ კაჭრეთისაკენ. დაღლა ვიგრძენით. თავი იჩინა ტრავმებმა. ჩალაუბნისკენ მიმავალ



გზაზე შხაპუნა წვიმა დაიწყო, მაგრამ მაინც წინ მივიწევდით დასახული მიზნისაკენ. განსაკუთრებით გაგვაოცა თამარ ლომიძის ფიზიკურმა შესაძლებლობებმა და მედგარმა ხასიათმა. მან ტოლი არ დაუდო ბიჭებს, ბევრს აჯობა კიდეც. თამარი ქუთაისელია, იგი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტია. არის ქუთაისის შობის სახელობის ეკლესიის მრევლის წევრი. ღმერთმა უმრავლოს საქართველოს ასეთი გოგონები.

შებინდებისას დაღლილ-დაქანცულნი მივადექით სიმწვანეში და ბურუსში გახვეულ ბოდბის დედათა მონასტერს. კეთილმოწესე დედა თამარმა პატივისცემით მიგვიღო, კურთხევა მოგვცა დავსწრებოდით საღამოს ლოცვას, რომელიც 9 საათზე დაიწყო. ფეხზე დგომა გვიჭირდა, ხანდახან ჩავიმუხლებდით ხოლმე. ზეთი ვიცხეთ. შემდეგ მონასტრის დედაობმა ღამის გასათევი გამოგვინახეს. 85 კილომეტრის ფეხით გავლამ თავისი შედეგი გამოიღო და დაღლილებს მალევე ჩაგვეძინა. მთელი ღამე წვიმდა.

დილით ადრე გავიღვიძეთ. ჩვენს წინ მთელი თავისი მშვენიერებით წარსდგა ამომავალი მზის სხივებით განათებული დედათა მონასტერი, რომელსაც გამორჩეული ადგილი უკავია საქართველოს სულიერ ცხოვრებაში. გადმოცემით ცნობილია, რომ აქ არის ქართველთა განმანათებლის, მოციქულთა სწორის, წმინდა ნინოს საფლავი.

14 წლის ნინოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და უბრძანა მის წილხვედრ ჩრდილოეთის ქვეყანაში, ქართლში, სიმხნით და უშიშად ექადაგა ჭეშმარიტება და ამ საქმის ნიშნად და წინამძღვრად გადასცა ჯვარი, რომელიც იქვე ამოსული ვაზის რტოსაგან შექმნა. ეს ჯვარი ამჟამად თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარში ინახება.

საქართველოში მოსულმა ნეტარმა ნინომ, მრავალი ცრემლით, ლოცვითა და მკაცრი მოღვაწეობით სრულყო თავისი მოციქულებრივი ღვაწლი და წარმართობის ნისლით დაფარული ერი ჭეშმარიტების ნათელს აზიარა. ამ ხნის მანძილზე მან მრავალი სასწაული აღასრულა: შემუსრა კერპები, განკურნა დედოფალი ნანა, რომელმაც ამის შემდეგ ჭეშმარიტი ღმერთი ირწმუნა. მალე მეფე მირიანიც მოექცა “სასწაულთა ქრისტესმიერთა” და სრულიად ქართლის ერმა ნათელ იღო მდინარე არაგვში.

როგორც ისტორიული წყაროები გვამცნობენ, მოციქულებრივი ღვაწლით დამაშვრალი წმინდანი გარდაიცვალა დღევანდელ ნინოწმინდაში “და დაკრძალეს მასვე ადგილსავე ზედა კუხეთს, დაბასა ბუდისასა, რამეთუ მუნ ითხოვა თვით დაფლვა მეფისაგან. შეხედებითა ღვთისასა და სიმდაბლისათვის ქმნა ესე წმიდამან, რამეთუ



ადგილი იგი შეურაცხ იყო”. როგორც ჩანს კუხეთის ბუდი ახლანდელი ნინოწმინდაა, ხოლო ქალაქი ბუდე – ახლანდელი ბოდბე. “ბუდე იყო ფრიად დიდი ქალაქი ქიზიყის საზღვარში”. (ქიზიყში და არა ზედა კუხეთს. ე.ი. ისტორიულ წყაროს თუ დავეყრდნობით წმ. ნინოს დაკრძალვის ადგილი ნინოწმინდაა ი.ს.). ამბობენ, რომ წმიდა ნინო შემდეგ გადაუსვენებიათ ბუდიდან (ნინოწმინდა) ბუდეში (ბოდბე). სავარაუდოდ ეს უნდა მომხდარიყო ან ვახტანგ გორგასლის ან დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში, რადგან ამ დროს ხდება ტაძრის გაფართოება და გამშვენება. თუმცა არსებობს მეორე ვარაუდიც, რომ წმიდა ნინოს საფლავი ისევ ნინოწმინდაშია და გასაიდულოებულია ეს ყველაფერი, ისე როგორც თამარ მეფის მიწიერი განსასვენებელი. თემა საკამათოა და აქ თავისი სიტყვა ამ დარგის სპეციალისტებმა უნდა თქვან.



მოციქულთა სწორის საფლავი იმდენად პატივცემული იყო, რომ მონღოლებმა, რომლებმაც მიწასთან გაასწორეს მთელი ქვეყანა, დაუნგრეველ-აუოხრებელი დატოვეს მხოლოდ ბოდბის ტაძარი, თუმცა ისიც არა უვნებლად.

შუა საუკუნეებში ამ ტაძარში იკურთხებოდნენ კახთა მეფეები. რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე III-ის ბრძანებით 1889 წელს ბოდბეში გაიხსნა დედათა მონასტერი. 1924 წელს ბოლშევიკებმა მონასტერი დახურეს. კომუნისტების მიერ დარბეული უძველესი ტრადიციების მქონე ბოდბის მონასტერი კვლავ აღდგა 1991 წელს. ამჟამად წირვა-ლოცვა მიმდინარეობს წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში.

მონასტერთან ახლოს წმინდა ნინოს წყაროა, რომელშიც სნეულები განიბანებიან. წმინდა ნინოს ლოცვით თავდაპირველად წყარო მონასტრის ეზოში აღმოცენდა, მაგრამ კომუნისტების დროს შენობაში საავადმყოფო გახსნეს და სასწაულებრივი წყაროს წყლით ჭუჭყიან ტანსაცმელსა და ჭურჭელს რეცხავდნენ. მოულოდნელად წყარო დაკარგულა და მონასტრიდან 2 კილომეტრში ხეობაში ამოსულა. 90-იან წლებში ბოდბის მონასტრის წინამძღვრის ილუმენია თეოდორას ინიციატივით წყაროზე განსაბანი და წმინდა ზაბულონისა და წმინდა სოსანას სახელობის პატარა ტაძარი აიგო. ამჟამად მონასტერში ოცდაათამდე მონაზონი და მორჩილი მოღვაწეობს.



მონასტრის ერთ-ერთ სიწმინდეს წარმოადგენს ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, რომელსაც კომუნისტების დროს საავადმყოფოდ გადაკეთებულ მონასტრის რენტგენის კაბინეტში მაგიდად იყენებდნენ. ღვთისმშობელი ერთ ექიმ ქალს გამოეცხადა და ხატის თავის ადგილზე გადასვენება უბრძანა. ერთხელ ერთმა ურწმუნო ადამიანმა ამ ხატის შეურაცხოვა სცადა და დანით დაუსერა სახე, რისთვისაც მკაცრად დაისაჯა და სრულიად ჯანმრთელი მოულოდნელად გარდაიცვალა.

დილის რვა საათზე განსაბანში ჩავედით. ღამით მოსულ შხაპუნა წვიმის შედეგად წარმოქმნილ ნიაღვარს ტაძართან მისასვლელი გზები მოეშალა. ბიჭებმა განსაბანის მომსახურე დედებს, რომელთაც ორივეს ნინო ჰქვიათ, გამოართვეს ნიჩბები და გზა მაშინვე გაასწორეს. შემდეგ განვიბანეთ, ვიგრძენით რაღაც განსაკუთრებული სიმსუბუქე, ავედით მონასტერში, სადაც დაგვხვდნენ სართიჭალიდან ჩამოსული ჩვენი მრევლის წევრები. დავესწართ წირვას, ვეზიარეთ და მადლმოსილები დავბრუნდით სართიჭალაში.

იოსებ სიბოშვილი